



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:პ/5864862

თარიღი:26/10/2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 77

2020 წლის 26 ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული 174.32 კვ.მ. ფართის (საკ.კოდი N 29.08.09.009.01.502), ინოვაციების ცენტრის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის ზურაბ მაისურაძის (№48-48202961; 22/10/2020) წერილი, რომელშიც ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ დირექტორის წერილის საფუძველზე, ითხოვს თანხმობას აღნიშნულ ა(ა)იპ-ს, ინოვაციების ცენტრის მოსაწყობად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული 174.32 კვ.მ. ფართი (საკ.კოდი N 29.08.09.009.01.502).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრს“, ინოვაციების ცენტრის მოსაწყობად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული 174.32 კვ.მ. ფართი (საკ.კოდი N 29.08.09.009.01.502).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)